

თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია

ეთნომუსიკოლოგიის მიმართულება

ახალგაზრდა ეთნომუსიკოლოგთა
რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენცია

პროგრამა და თეზისები

31 მაისი, 2022 წელი

პროგრამა

11:00 – ნატალია ზუმბაძე (კონფერენციის სამეცნიერო ხელმძღვანელი)

კონფერენციის გახსნა

11:15 – ეკატერინე ყაზარაშვილი

ქრისტეშობის საგალობლები ძველ ჰიმნოგრაფიულ კრებულებში

11:45 – მარიამ დუმბაძე

გალობის დასავლურქართული კილო: შემოქმედის სკოლა და მისი მოამაგენი

12:15 – სოფიკო კოტრიკაძე

ქართული საავტორო ფოლკლორული სიმღერების თემატური კლასიფიკაცია
(საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის მასალების საფუძველზე)

12:45 – ნათია დათუაშვილი

ბავშვთა საგალობო რეპერტუარში გავრცელებული კილოს საკითხისათვის (საგალობელ
მომიხსენენის მაგალითზე)

13:15-13:30 – შესვენება

13:30 – ნინო ჩიტაძე

ქართული ხალხური მუსიკა საჯარო სკოლის პირველი-მესამე კლასების მუსიკის
სახელმძღვანელოებში

14:00 – ნია ღამბაშიძე

ღირს არს ჭეშმარიტად. საგალობლის ლიტურგიკულ-მუსიკალური განვითარების გზა და
ადგილი ღვთისმსახურებაში

14:30 – მონაზონი ნინო სამხარაძე

ვნების პარასკევის ცისკრის მსახურების მუსიკალური ერთიანობის შესახებ

15:00 – ლიკა ლიპარტელიანი

სტუდენტური ექსპედიცია სვანეთში (კვლევის შედეგები და პერსპექტივები)

თეზისები

ეკატერინე ყაზარაშვილი

თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია

სადოქტორო პროგრამა *სამუსიკისმცოდნეო კვლევები*, სპეციალობა *საეკლესიო მუსიკოლოგია*

ხელმძღვანელი: ასოც. პროფ. თამარ ჩხეიძე

ქრისტეშობის საგალობლები ძველ ჰიმნოგრაფიულ კრებულებში

12 საუფლო დღესასწაულის აღნიშვნა სხვადასხვა საუკუნესა და ისტორიულ ვითარებას უკავშირდება. პირველ საუკუნეებში მორწმუნეები მხოლოდ ქრისტეს ჯვარცმისა და აღდგომის დღეებს იხსენებდნენ. IV საუკუნის დასაწყისში ქრისტიანობის რელიგიად გამოცხადების შემდეგ ქრისტეს ეკლესიის მიმდევრები, მის წიაღში მყოფი გამორჩეული მქადაგებლები და სასულიერო პირები უფრო აქტიურად ინტერესდებოდნენ მაცხოვრის ამქვეყნიური ცხოვრებისა და ზეციური ნიშნების – სასწაულების გამოვლენით. მათი ერთმანეთისთვის შეხსენება, ყოველწლიური შეკრებები და ერთობლივი აღნიშვნა ამა თუ იმ დღისადმი სადიდებელი ჰიმნების შექმნისა და საზეიმო ღვთისმსახურების წინაპირობა იყო. საუფლო დღესასწაულთაგან ქრისტეს შობის დამოუკიდებელ დღესასწაულად აღნიშვნის საკითხმა რამდენიმე საუკუნე გასტანა, საბოლოოდ კი VI საუკუნიდან ქრისტეს შობა და განცხადება (იგივე ნათლისღება) დამოუკიდებელ დღესასწაულებად გვევლინება. ცხადია, დღესასწაულებთან დაკავშირებული ჰიმნებიც ეტაპობრივად იქმნებოდა და ლიტურგიკული კრებულები ივსებოდა სადღესასწაულო საკითხავებითა და საგალობლებით. ამისი ნათელი დადასტურებაა ძველი ქართული ჰიმნოგრაფიული კრებულები.

მოხსენებაში მიმოხილულია VII-XIII საუკუნეებში შედგენილი ქართული ჰიმნოგრაფიული კრებულები, რომლებშიც ასახულია ქრისტეშობის მსახურების განვითარების გზა.

გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლესი სასწავლებელი
საბაკალავრო პროგრამა *საეკლესიო მუსიკა*

კონსულტანტი: მოწვ. პედაგოგი ეკატერინე ყაზარაშვილი

გალობის დასავლურქართული კილო: შემოქმედის სკოლა და მისი მოამაგენი

ქართული საეკლესიო გალობა ქართველი ერის უდიდესი განძია. როგორც უწინ, დღესაც მისდამი სიყვარულით აღვსილი ქართველი კაცი კრძალვითა და შემართებით ემსახურება წინაპართა კულტურულ მემკვიდრეობას.

მოხსენებაში წარმოდგენილია შემოქმედის სკოლის საგალობლების ნოტებზე ჩაწერის ისტორია, მოყვანილია ცნობები ამ სამგალობლო სკოლის მოღვაწეების – გურული გალობის უბადლო შემსრულებლებისა და მოამაგეების, იმ საერო თუ სასულიერო პირების შესახებ, რომლებმაც შემოქმედის მონასტრის ტრადიციაში დამკვიდრებული კილო შემოინახეს. ესენი არიან: მღვდლები გიორგი და დავით დუმბაძეები, ანტონ დუმბაძე, მღვდელი ნესტორ კონტრიძე, მელქისედეკ ნაკაშიძე, ვარლამ სიმონიშვილი, გიგო ერქომანიშვილი, არტემ ერქომანიშვილი, დიმიტრი პატარავა, ანზორ ერქომანიშვილი. მოხსენებაში ყურადღება ეთმობათ დღეს ოზურგეთში მოღვაწე მგალობელ-ლოტბარებსაც – ვასილ ცეცხლაძეს, ფოტინე გორდელაძესა და ტრიო *ხელხავის* წევრებს. ავტორი გამოხატავს მადლიერებას თითოეული ადამიანის მიმართ, რომლის დაუღალავი შრომის წყალობითაც საშუალება გვაქვს, ვეზიაროთ შემოქმედის სკოლის საგალობლებს.

სოფიკო კოტრიკაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

სადოქტორო პროგრამა *კულტურის კვლევები*

ხელმძღვანელი: ასოც. პროფ. თამაზ გაბისონია

ქართული საავტორო ფოლკლორული სიმღერების თემატური კლასიფიკაცია

(საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის მასალების საფუძველზე)

საავტორო სიმღერების სახელით ცნობილია კონკრეტული ავტორების მიერ ხალხურ მოტივებზე შექმნილი ნიმუშები. ავტორთა უმეტესობა თვითმოქმედი კომპოზიტორი ან ლოტბარია, რომელსაც სპეციალური მუსიკალური განათლება არა აქვს. ავტორი ნებისმიერი ჟანრისა თუ სტილის მუსიკას ჰყავს, ამიტომ თავისთავად ტერმინი *საავტორო მუსიკა (საავტორო სიმღერა)* პირობითია. გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად ვიყენებ ტერმინ *საავტორო ფოლკლორულ სიმღერას*, რომელიც სწორედ ფოლკლორულ მოტივებზე შეთხზულ ავტორისეულ ქმნილებას გულისხმობს.

საავტორო ფოლკლორული სიმღერები განსაკუთრებით მრავლად იქმნებოდა საბჭოთა პერიოდში: ხშირად – სახელმწიფოს დაკვეთით, უფრო იშვიათად კი – ლოტბართა პირადი ინიციატივით. ქართულ ეთნომუსიკოლოგიაში საბჭოთა პერიოდის სიმღერების შესწავლის გარკვეული გამოცდილება არსებობს (გ. ჩხიკვაძე, თ. მესხი, ო. კაპანაძე, თ. გაბისონია), მაგრამ შედარებით მასშტაბური ხასიათის კვლევა ამ თემას არ მიძღვნია. აღნიშნული სიმღერების ერთგვარი კლასიფიკაცია გამოქვეყნებულ სანოტო მასალაზე დაყრდნობით მეც ვცადე სამაგისტრო ნაშრომში, რის შედეგადაც გამოვყავი სიმღერათა 8 თემატური ჯგუფი.

ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის არქივში დაცული მასალების გაცნობამ ჩემი კვლევის არეალი უფრო გააფართოვა. აქ სიმღერათა უმეტესობას ავტორი მინიშნებული ჰყავს, გვხვდება ტრადიციული ჟანრების ლოტბარებისეული (გადამუშავებული) ვერსიებიც, საავტორო სიმღერები არა მხოლოდ საბჭოთა თემატიკას, არამედ სხვა სფეროებსაც მოიცავს.

ქართული საავტორო ფოლკლორული სიმღერების კლასიფიკაციისას ჩემთვის უპირატესი იყო ვერბალური ტექსტი, რომელიც ამ შემთხვევაში ბევრად უფრო მნიშვნელოვანი ელემენტია, ვიდრე – მუსიკალური. შედეგად გამოიყო 2 მსხვილი თემატური ჯგუფი. პირველი ჯგუფის ნიმუშები უშუალოდ საბჭოთა რეჟიმის, მისი ბელადებისა თუ პოლიტიკური მიღწევების ქებას ეძღვნება. ასეთებია: სიმღერები მნიშვნელოვან პოლიტიკურ მოვლენებზე,

სტალინზე, პარტიაზე, სამშობლოზე/საქართველოზე, მშვიდობაზე, საბჭოთა არმიაზე და სხვ. მეორე ჯგუფში გაერთიანებულია სიმღერები სატრფიალო და საკოლმეურნეო თემატიკაზე, გეოგრაფიულ ადგილებზე და სხვ. აქვე შედის ტრადიციული სიმღერების ლოტბარებისეული ვერსიებიც.

ნათია დათუაშვილი

საეკლესიო მუსიკისმცოდნეობის მაგისტრი

კონსულტანტი: თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ასოც. პროფ. ეკატერინე ონიანი

ბავშვთა საგალობო რეპერტუარში გავრცელებული კილოს საკითხისათვის

(საგალობელ *მომიხსენენის* მაგალითზე)

ქრისტიანობის შემოსვლას საქართველოში თან მოჰყვა სამგალობლო სკოლების ჩამოყალიბება, გალობის სწავლების ტრადიციის დამკვიდრება. მე-19 საუკუნეში ჩაწერილი ათასობით საგალობელი ქართულ სამგალობლო პრაქტიკაში არსებულ, სხვადასხვა კილოს მრავალფეროვან პალიტრას წარმოგვიდგენს. მასში სათანადო ადგილი უკავია საბავშვო კილოს საგალობლებს.

ისტორიულად ბავშვთა გალობით აღზრდას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა, ადრეული ყრმობიდანვე შინაური აღზრდის აუცილებელ ნაწილს წარმოადგენდა და ქართველი ერის ზნეობრივ სიჯანსაღეს განსაზღვრავდა. გალობის სწავლების მეთოდის ქართულ საეკლესიო პრაქტიკაში მაღალ დონეზე იყო. მართალია, სახეცვლილებით, არასრულად, მაგრამ სწავლების ძველი ტრადიცია ქართულ სინამდვილეში დღემდე გრძელდება. ღვთისმსახურებისას ისევ ისმის ყრმთა გალობა – ბოლო პერიოდში ყალიბდება ბავშვთა გუნდები, რომლებიც საკონცერტო გამოსვლებთან ერთად ღვთისმსახურებაშიც არიან ჩართულნი.

მოხსენებაში განსაზღვრულია ბავშვთა დღევანდელი გუნდების საგალობო რეპერტუარის ძირითადი ბირთვი და გალობის კილოს არჩევანი საგალობელ *მომიხსენენის* საფუძველზე, დასმულია საკითხი ამ კილოს უპირატესობის მიზეზის შესახებ.

**ქართული ხალხური მუსიკა საჯარო სკოლის პირველი-მესამე კლასების მუსიკის
სახელმძღვანელოებში**

მოხსენება ეხება ხალხური მუსიკის სწავლებას მათაოთიშვილის ავტორობით 2018-2019 წლებში გამოცემული, საჯარო სკოლის პირველი-მესამე კლასების მუსიკის სახელმძღვანელოებით. ხსენებულ სახელმძღვანელოებში ქართულ ხალხურ მუსიკას და მასთან დაკავშირებულ ცნობებს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ქართული და უცხოური პროფესიული მუსიკის გვერდით.

სახელმძღვანელოების პრაქტიკულ ნაწილში შესულია შესასწავლი სიმღერები, ხოლო თეორიულ ნაწილში წარმოდგენილია შემეცნებითი ინფორმაცია საკრავებზე, საქართველოს კუთხეებზე, ტრადიციებზე, დღესასწაულებსა და გამოჩენილ ადამიანებზე.

ხალხური მუსიკის გაცნობისას გამართლებულად მიმაჩნია ავტორის მიერ ბავშვებისათვის პატარა მოთხრობების მიწოდება, ასევე – მითითებები ამ მოთხრობებისა და თავად სიმღერების ინსცენირებაზე, ორ გუნდად შესრულებასა და ფერხულის დაბმაზე. ყოველივე ეს ხელს უწყობს სწავლება-შემეცნების პროცესის გამრავალფეროვნებასა და გახალისებას, რაც უფრო მაღალი შედეგის საწინდარია.

სიმღერების უმეტესობა საფერხულოა, ეფუძნება *იავნანას* ჰანგს და მისადაგებულია ბავშვის მუსიკალურ შესაძლებლობებთან. ვეთანხმები ავტორის გადაწყვეტილებას, რომლის მიხედვითაც შესასწავლი სიმღერები და თემები ძირითადად მუსიკალური (და არა სხვა რომელიმე) პრინციპით არის შერჩეული.

სახელმძღვანელოებში შესული სიმღერები განკუთვნილია სხვადასხვა მუსიკალური მონაცემების მქონე ბავშვებისათვის. ამიტომ ვიზიარებ ავტორის მეთოდურ შემოთავაზებებს: მრავალინფორმაციულად და, ამავდროულად, მარტივად შევამეცნოთ სიმღერები და თემები მოსწავლეებს, მივმართოთ მოკლე ისტორიულ-ეთნოლოგიურ და მუსიკალურ ექსკურსებს; შევასწავლოთ სიმღერები, რომლებსაც ხმებშიც იმღერებენ თავიანთი შესაძლებლობების ფარგლებში.

მ. ოთიაშვილის სახელმძღვანელოები საკმაოდ ხელშემწყობია სწავლება-შემეცნების პროცესში, თუმცა, ვფიქრობ, გარკვეული დეტალები გადასახედია. ასეთებია: მითითება ზოგი ხალხური სიმღერის ფორტეპიანოს თანხლებით შესრულებაზე, ზოგი კომენტარი სიმღერის პოეტური ტექსტის განხილვისას, ეთნოლოგიური ხასიათის ინფორმაცია ზოგ სიმღერასთან დაკავშირებით. ასევე გადასასინჯია საჭიროება სახელმძღვანელოში გამოყენებული გზამკვლევი საბავშვო პერსონაჟებისა.

ნია ღამბაშიძე

გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლესი სასწავლებელი
სამაგისტრო პროგრამა *საეკლესიო მუსიკისმცოდნეობა*

ხელმძღვანელი: ასოც. პროფ. ეკატერინე ონიანი

ღირს არს ჭეშმარიტად: საგალობლის ლიტურგიკულ-მუსიკალური განვითარების გზა და ადგილი ღვთისმსახურებაში

ღირს არს ჭეშმარიტად მართლმადიდებლურ სამყაროში ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი ყველაზე ცნობილი და, ამავდროულად, ყველაზე ხშირად შესრულებადი საგალობელია. შემთხვევითი როდია, რომ სწორედ ის იქნა არჩეული ღვთისმშობლის განსადიდებელ გალობად საღვთო ლიტურგიაში. ასეთი საყოველთაო აღიარება დაკავშირებული უნდა იყოს საგალობლის ზეციურ წარმომავლობასთან – მორწმუნეებს ხომ მის შესახებ გაბრიელ მთავარანგელოზის გამოცხადებით ეუწყათ.

ღირს არს ჭეშმარიტად შედგება ორი დამოუკიდებელი საგალობლისგან – საკუთრივ *ღირს არს ჭეშმარიტად* და *უპატოსნესა*. *უპატოსნესა* გაცილებით ძველი საგალობელია და საყოველთაო აღიარებით სარგებლობდა იმ დრომდეც, ვიდრე *ღირს არს ჭეშმარიტად* გახდებოდა ცნობილი.

მოხსენებაში მიმოხილულია ის ეტაპები, რომლებიც საგალობელმა გაიარა ცისკრის მსახურებიდან წირვაში ჩართვამდე, განხილულია ქართული გალობის დასავლური შტოს ჩვენამდე მოღწეული ყველა ცნობილი ნიმუში, დედა ჰანგზე დაკვირვებით გამოვლენილია ორი დამოუკიდებელი საგალობლის სინთეზის შედეგად წარმოქმნილი თავისებურებები.

მონაზონი ნინო სამხარაძე

თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია

სადოქტორო პროგრამა *სამუსიკისმცოდნეო კვლევები*, სპეციალობა *საეკლესიო მუსიკოლოგია*

ხელმძღვანელი: ასოც. პროფ. თამარ ჩხეიძე

ვნების პარასკევის ცისკრის მსახურების მუსიკალური ერთიანობის შესახებ

ქრისტიანული სწავლებით წითელი პარასკევი ისეთივე აღმატებული დღეა ვნების შვიდეულის დღეებზე, როგორც ვნების შვიდეული – დიდი მარხვის ორმოცეულზე და წმინდა ორმოცეული – დანარჩენ სამ მარხვაზე (იგულისხმება შობის, პეტრე-პავლობისა და ღვთისმშობლის მიძინების მარხვები). ამიტომ, ბუნებრივია, განსაკუთრებული ხასიათისაა ის მსახურებები, რიტუალები და მათი თანმხლები საგალობლები, რომლებიც ქრისტეს ჯვარცმის დღეს აღესრულება. მათში თითქოს მატერიალური საზღვრები იშლება და აღმსრულებელი ღვთისმსახურნი და მგალობელნი, თუ რიტუალის მონაწილე მრევლი მიეახლებიან იმ მღელვარე და ტრაგიკულ დღეებს, როდესაც აღესრულა მაცხოვარი – კრავი ღმრთისა.

ვნების პარასკევის სამი დიდი მსახურებიდან (ცისკარი; დიდი ჟამები; მწუხრი, სერობასთან შეერთებული) ცისკარი მასშტაბურობითა და მუსიკალური მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ეს ერთადერთი უნიკალური დღეა, როდესაც იკითხება ვნების 12 სახარება (ცისკარზე, როგორც წესი, მხოლოდ ერთი სახარება სრულდება), რომელშიც თანმიმდევრულად ჩაერთვის ანტიფონების 15 მიკროციკლი (გალობა), *9 ნეტარება* თავისი *მომიხსენებით, სამსაგალობელი, აქებდითისა და აღვივსენითის* დასდებლები. სწორედ ჰიმნოგრაფიულ მასალაში იკვეთება მსახურების ძირითადი დრამატურგია: საიდუმლო სერობა, მაცხოვრის გაცემა, შეპყრობა, სამსჯავროზე წარდგენა, ჯვარზე ვნება, აღსრულება და ქრისტეს ვნებების თაყვანისცემა.

ცისკარზე შესასრულებელ საგალობელთა რაოდენობა ასამდეა, ხოლო ჰანგების რიცხვი ორმოცს არ აღემატება, ვინაიდან, როგორც წესი, ერთ ჰანგზე რამდენიმე პოეტური სტროფი იგალობება. ჰანგების უმეტესობა თავმოყრილია *შეხვეტილიანში* (ანტიფონების 15 მიკროციკლი და *9 ნეტარების* მუხლები), საიდანაც ჰიმნები ნაწილდება მსახურების მომდევნო ციკლებში (*აქებდითისა და აღვივსენითის* დასდებლებში). ფაქტობრივად, *შეხვეტილიანი* ერთგვარი მუსიკალური ფონდია, რომელიც უზრუნველყოფს მთელი ცისკრის მსახურებას

ჰანგებით. ამდენად, საგალობლებს საერთო თემატური, ლიტურგიკული, შინაარსობრივი და მუსიკალური საფუძველი აქვს, რაც ვნების პარასკევის ცისკრის ერთ მთლიან, მონუმენტურ ციკლად განხილვის შესაძლებლობას ქმნის.

წინამდებარე მოხსენებაში განხილულია ის ძირითადი ასპექტები, რომლებიც ვნების პარასკევის ცისკრის მსახურებას მხატვრულ-ესთეტიკური ერთიანობით აღბეჭდილ მისტერიად აქცევს. ამისათვის წარმოდგენილია ლოგიკურ-დრამატურგიული კავშირები, რომლებიც ნათლად იკითხება, ერთი მხრივ, ტექსტოლოგიურ და, მეორე მხრივ, მუსიკალური სტრუქტურისა და ჰანგების დონეზე.

ლიკა ლიპარტელიანი

გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლესი სასწავლებელი
საბაკალავრო პროგრამა *საეკლესიო მუსიკა*
კონსულტანტი: ასოც. პროფ. თეონა რუხაძე

სტუდენტური ექსპედიცია სვანეთში

(კვლევის შედეგები და პერსპექტივები)

გიორგი მთაწმინდელის სახელობის საეკლესიო გალობის უმაღლესი სასწავლებლისა და ფონდ *ქართული გალობის* მხარდაჭერით 2021 წლის ზაფხულში ჩავატარე სტუდენტური ექსპედიცია ქვემო და ზემო სვანეთში. ექსპედიციაში ჩემთან ერთად მონაწილეობდა სასწავლებლის სტუდენტი ლელა მეფარიშვილი.

ქვემო სვანეთში მოვიარეთ სოფლები: რცხმელური, ხოფური, წანაში, ხელედი, ლენტეხი, ბაბილი, ჭველიერი, თეკალი, სასაში და ჟახუნდერი; ზემო სვანეთში ვესტუმრეთ უშგულს (ჟიბიანი, ჩაჟაში, მურყმელი), ლატალსა (ლახუმდი) და მესტიას.

ექსპედიციის მიზანი იყო თანამედროვე ფოლკლორული ყოფის დაფიქსირება, სვანურისა და სხვა ქართული მუსიკალური დიალექტების ურთიერთგავლენების ძიება, საკუთრივ სვანურ მუსიკალურ დიალექტში უშგულური და ქვემოსვანური (ჩოლური, ლაშხეთი, დაბა ლენტეხი) რეპერტუარების შედარება. გამორჩეულად გვანტერესებდა ისეთი საკითხები, როგორებიცაა: სვანეთში საეკლესიო გალობის ტრადიციის ისტორია, სამკურნალო და ამინდის სავედრებელი სიმღერების კვალი, *ზარის* დანიშნულება თანამედროვე სოციუმში, ტირილების ინტონაციების გავლენა სასიმღერო მელოდიებზე.

ექსპედიცია საინტერესოდ წარიმართა და ფოლკლორის სხვადასხვა დარგი მოიცვა. მოძიებულ მასალებს შორისაა სიმღერები და დასაკრავები, საფერხულო და საცეკვაო ილეთები, ზეპირსიტყვიერების ნიმუშები (ზღაპრები, თქმულებები, შელოცვები, მითოლოგიური გადმოცემები), ეთნოგრაფიული ცნობები წეს-ჩვეულებებისა და რიტუალების შესახებ. განსაკუთრებით აღსანიშნავია რამდენიმე ფრაგმენტი დავიწყებული ფერხულისა ბიბა, აგრეთვე – ცნობილი სიმღერების ნაკლებად შესრულებადი ვარიანტები და სიტყვიერი ტექსტები.

მნიშვნელოვანი გამოცდილება შეგვიძინა იმ ეთნოგორებთან ურთიერთობამ, რომლებიც ერთგულად ინახავენ ჩვენი ქვეყნის უმნიშვნელოვანეს განძს. სავსე კვლევისას კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ ეს განძი ამოუწურავია. ამავე დროს წავაწყდით აქტუალურ პრობლემებსაც, რომლებსაც ხალხურ მუსიკაში მიმდინარე თანამედროვე პროცესები განაპირობებს.

საექსპედიციო მუშაობას სვანეთში მომავალშიც ვგეგმავთ; ასევე გვსურს, უკეთ გავიცნოთ საქართველოს სხვადასხვა ტერიტორიაზე ჩასახლებული სვანების ფოლკლორული ყოფა. ყოველივე ეს შესაძლებლობას მოგვცემს, უკეთ დავინახოთ სვანური მუსიკალური ტრადიციის წარსული, დღევანდლობა და მომავალი.

შემდგენელ-რედაქტორი: ნატალია ზუმბაძე.